საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
GEORGIAN NATIONAL UNIVERSITY SEU

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს ეთიკის კოდექსი

დამტკიცებულია
რექტორის 2020 წლის 5 ოქტომბრის №587 ბრძანებით
შეტანილი ცვლილებები: რექტორის №526 ბრძანება (27/06/ 2022წ.)

თბილისი
2020

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ (შემდგომში - სეუ) აცნობიერებს, რომ მისი, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ეფექტიანი მართვისა და პოზიტიური საზოგადოებრივი იმიჯის პოპულარიზაციის ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას ჯანსაღი აკადემიური გარემოს უზრუნველყოფა, დაცვა და შენარჩუნება წარმოადგენს.
2. წინამდებარე ეთიკის კოდექსის (შემდგომში - კოდექსი) მიზანია სეუ-ს სამუშაო და აკადემიურ გარემოში ქცევისა და ეთიკის საერთო წესების ჩამოყალიბება და შენარჩუნება, ასევე, აკადემიური პატიოსნების ღირებულებების ფორმირება.
3. კოდექსის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია და მოქმედი კანონმდებლობა, მათ შორის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, ასევე, უმაღლესი განათლების სფეროში დამკვიდრებული საუკეთესო პრაქტიკა, აკადემიური თავისუფლებისა და აკადემიური პატიოსნების, ობიექტურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ინტელექტუალური საკუთრების დაცვისა და პერსონალური მონაცემების კონფიდენციალურობასთან მიმართებით.
4. სეუ-ს აკადემიური, ადმინისტრაციული, დამხმარე და მოწვეული პერსონალი (შემდგომში - პერსონალი), ასევე, სტუდენტები ვალდებულნი არიან იმოქმედონ წინამდებარე კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად.
5. კოდექსი წარმოადგენს სეუ-ს შრომის შინაგანაწესისა და პერსონალთან/ სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს.
6. კოდექსის დებულებები სრულად ვრცელდება პერსონალისა და სტუდენტების ისეთი ქცევის მიმართ, რომლებიც კოდექსში პირდაპირ არ არის დასახელებული მაგრამ თავისთავად გამომდინარეობს ამ კოდექსის პრინციპებიდან.
7. ამ კოდექსის მიზნებისთვის, სტუდენტად განიხილება საბაკალავრო, სამაგისტრო და ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის სტატუსის მქონე ყველა პირი, მათი სეუ-ში ყოფნის, საგანმანათლებლო და სხვა საუნივერსიტეტო აქტივობებში მონაწილეობის პერიოდში. ასევე, პირი, რომელიც სწავლობს სეუ-ს სხვა პროგრამაზე, რომლითაც სწავლის დასრულების შემდეგ გათვალისწინებულია სერთიფიკატის გაცემა ან/და ტრენინგ ცენტრში გადის ტრენინგს.
8. სეუ-ს პერსონალი და სტუდენტი ვალდებულნი არიან იცნობდნენ და იცავდნენ ეთიკის კოდექსის დებულებებსა და პრინციპებს.
9. სეუ-ს პერსონალი და სტუდენტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს და ღებულობს ყველა საჭირო ზომას, რათა თავიდან იქნას აცილებული ეთიკის კოდექსის შესაძლო დარღვევები.
10. კოდექსის დარღვევის შემთხვევაში, სეუ განიხილავს პერსონალის/სტუდენტის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს. შესაბამისად, პერსონალი და სტუდენტები ვალდებულნი არიან შეასრულონ მიღებული გადაწყვეტილება.
11. სეუ-ს პერსონალის, სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის, ეთიკის კოდექსი გაზიარებულია ვებგვერდზე: www.seu.edu.ge.

მუხლი 2. ეთიკური ქცევის ძირითადი პრინციპები

1. სეუ-ს ყველა პერსონალი და სტუდენტი თანაბრად სარგებლობს მოქმედი კანონმდებლობისა და სეუ-ს მარეგულირებელი აქტებით მათთვის მინიჭებული უფლებებით.
2. სეუ-ს პერსონალი და სტუდენტი სრულად იზიარებს და განუხრელად იცავს სეუ-ს მარეგულირებელი აქტებისა და წინამდებარე ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ ნორმებს და პრინციპებს.
3. სეუ-ს პერსონალი და სტუდენტი მოქმედებს შემდეგი პრინციპების დაცვით და ვალდებულია:
   3.1. პატივი სცეს საკუთარი და სხვა ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ღირსებას, ასევე მათ პირად ქონებრივ და არაქონებრივ უფლებებს;
   3.2. გაცნობიერებული ჰქონდეს ინტელექტუალური საკუთრების არსი, იცავდეს და აღიარებდეს საავტორო უფლებებს, მათთვის მიუღებელი უნდა იყოს პლაგიატი;
   3.3. პატივი სცეს სეუ-ს სახელს, გაუფრთხილდეს მის რეპუტაციასა და პრესტიჟს;
   3.4. პატივი სცეს სხვა პირის სიტყვის, აზრისა და გამოხატვის თავისუფლებას და მოითხოვოს ანალოგიური პატივისცემა მის მიერ გამოხატული აზრისა და ფორმის მიმართ;
   3.5. ხელი შეუწყოს კოლეგებს/სტუდენტებს შორის ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთნდობის დამკვიდრებას;
   3.6. თავი შეიკავოს ისეთი ქმედებების განხორციელებისგან, რაც პირდაპირ ან ირიბად ზიანს აყენებს სეუ-ს, მისი პერსონალისა და სტუდენტების პატივს ან ღირსებას, ან წაახალისებს დისკრიმინაციულ მიდგომას სეუ-ს პერსონალისა და სტუდენტების მიმართ.
4. პერსონალის/სტუდენტების მიმართ დაუშვებელია პირდაპირი ან ირიბი დისკრიმინაცია მათი რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის, ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებისა და ნიშნის მიუხედავად.
5. სტუდენტებთან ურთიერთობისას ასევე დაუშვებელია ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტის შეზღუდვას ან შეურაცხყოფას აკადემიური მოსწრების ნიშნით.
6. სეუ-ში სავალდებულოა პოლიტიკური და რელიგიური ნეიტრალიტეტის პრინციპების დაცვა.
7. სეუ-ს პერსონალისა და სტუდენტისათვის შეუფერებელია ადამიანის პიროვნული კრიტიკა, შეურაცხყოფა, დამცირება, ცილისწამება, ასევე, სეუ-ს კონკურენტებზე ნეგატიური ინფორმაციის გავრცელება.

მუხლი 3. ეთიკური ქცევის საერთო წესები

1. სეუ-ს პერსონალის და სტუდენტის არაეთიკურ ქცევად მიიჩნევა სეუ-ს შენობაში და მის ტერიტორიაზე განხორციელებული შემდეგი ქმედებები:

1.1. სეუ-ს ქონების დაზიანება ან/და განადგურება;

1.2. სეუ-ს სივრცის, მოძრავი ან უძრავი ქონების არამართლზომიერი და უნებართვო გამოყენება ნებისმიერი მიზნით;

1.3. თამბაქოს მოწევა, გარდა ტერიტორიაზე სპეციალურად გამოყოფილი ადგილისა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

1.4. ალკოჰოლური სასმელების შეტანა, გავრცელება ან/და მოხმარება, თუ ღონისძიება სეუ-ს მიერ სპეციალურად არ არის ორგანიზებული ან ნებადართული;

1.5. ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპული საშუალებების შეტანა, გავრცელება ან/და გამოყენება;

1.6. ცეცხლსასროლი/ცივი იარაღის შეტანა, გამოყენება, სხვისთვის გადაცემა;

1.7. ისეთი ფეთქებადი და აალებადი ნივთებისა და ნივთიერებების შეტანა, გამოყენება, გავრცელება ან სხვისთვის გადაცემა, რომლებიც ხანძრის ან/და აფეთქების რეალურ საფრთხეს ქმნის;

1.8. აზარტული თამაშების ორგანიზება ან მათში მონაწილეობის მიღება;

1.9. სეუ-ს შენობისა და ტერიტორიის დანაგვიანება და/ან შენობის იერსახის დამახინჯება;

1.10. სხვა პირისათვის სიტყვიერი ან ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება;

1.11. უხამსობა, დემონსტრატიული ლანძღვა და/ან ბილწსიტყვაობა;

1.12. სხვა პირის მიმართ ძალადობა ან სხვა პირზე ფსიქოლოგიური ზეწოლა, მუქარა, დაშინება ან მორალური ზემოქმედება;

1.13. სხვა პირის პირდაპირი ან არაპირდაპირი შევიწროვება, ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის, ამ კოდექსის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო - გაბრაზებას, შეწუხებას, შეშინებას, დამცირებას ან/და იწვევს შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი, ძალადობრივი ან/და მტრული გარემოს შექმნას ან/და პირდაპირ/არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით, ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს;

1.14. სხვა პირის საკუთრების ხელყოფა, დაზიანება ან განადგურება; ასევე, სხვა პირის საკუთრების უფლების რაიმე სახით შეზღუდვა, მათ შორის, ნივთის დაუფლება და ფაქტობრივი ფლობა მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ, ნივთის მოტყუებით გამორთმევა ან გამოძალვა, ან ნივთის ბედის სხვაგვარი გადაწყვეტა, ასევე ზემოაღნიშნულ ქმედებათა მცდელობა, მათ შორის, ჩადენილი მოტყუებით ან მუქარით;

1.15. პირადი მიზნებისა ან/და მისთვის რაიმე სარგებლის მინიჭების სანაცვლოდ სხვა პირისაგან საჩუქრის ან/და სხვა სახის სარგებელის მოთხოვნა ან/და მიღება, ან/და შეთავაზება;

1.16. პირადი თუ სხვა სახის კონფლიქტების წარმოშობა და/ან კონფლიქტების გაღვივება;

1.17. წინასწარი განზრახვით კოლეგის/სტუდენტის შეცდომაში შეყვანა;

1.18. კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვება ან/და მისი მცდელობა ან/და კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამის ლეგიტიმური მიზეზი არსებობს და იურიდიულად სავალდებულოა;

1.19. პირადი და/ან სეუ-ს დოკუმენტების/ინფორმაციის ან/და მონაცემების (მაგ.

სტუდენტთა შეფასებების) გაყალბება ან/და მისი მცდელობა;

1.20. სეუ-ს შიდა ელექტრონული ბაზების დაზიანება ან/და მცდელობა;

1.21. სეუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის მომხმარებლის პირადი ინფორმაციის (პაროლი და კოდი) სხვისთვის გადაცემა ან/ და სისტემის ინტერფეისში უკანონო შეღწევის მცდელობა ან/და გამოყენება;

1.22. წინასწარი გაფრთხილებისა და/ან შეთანხმების გარეშე, ფარული ვიდეო/ ფოტო/აუდიო ჩანაწერის განხორციელება/გავრცელება;

1.23. არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება სეუ-ს სახელის, პრესტიჟის, სიმბოლიკისა და საქმიანი რეპუტაციის მიმართ, მათ შორის, ცრუ და გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელება სეუ-ს საქმიანობის, სეუ-ს სტუდენტებისა და/ან სეუ-ში დასაქმებული პირების შესახებ;

1.24. სეუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემისა და ელექტრონული ფოსტის, როგორც საჯარო სასაუბრო პლატფორმად გამოყენება;

1.25. აკადემიური ეთიკის ნორმების დაუცველობა;

1.26. დისციპლინური ღონისძიებების გატარების საკითხის აღძვრისათვის უფლებამოსილი პირის მოთხოვნებისადმი დაუმორჩილებლობა;

1.27. სხვა ნებისმიერი სახის ქმედება, რაც იწვევს სეუ-ში მოქმედი წესებისა და კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევას/უგულვებელყოფას.

მუხლი 4. აკადემიური და მოწვეული პერსონალის ეთიკის ნორმები

1. სეუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალი ვალდებულია:

1.1. იცოდეს და დაიცვას ეთიკური ქცევის საერთო წესები;

1.2. პროფესიული ვალდებულების შესრულებისას იყოს დამოუკიდებელი, კეთილსინდისიერი და მიუკერძოებელი;

1.3. ხელი შეუწყოს სტუდენტებში სამართლიანობის, ურთიერთპატივისცემის, და ადამიანის უფლებათა დაცვის ღირებულებების ჩამოყალიბებას;

1.4. სრულყოფილად წარმართოს სასწავლო პროცესი სეუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების და სილაბუსების შესაბამისად;

1.5. უზრუნველყოს ლექციების/მეცადინეობების დროული დაწყება და დამთავრება და არ დაუშვას ლექციის/მეცადინეობების გაცდენის შემთხვევები, სერიოზული მიზეზის არსებობის გარდა;

1.6. მიაწოდოს სტუდენტებს სრული ინფორმაცია შეფასების სისტემის შესახებ;

1.7. განუმარტოს სტუდენტებს აკადემიური ეთიკის არსი და სტანდარტები, მათი შესრულების მნიშვნელობა და მათი დარღვევისათვის დაწესებული სანქციები;

1.8. უზრუნველყოს თანაბარი მოპყრობა ყველა სტუდენტის მიმართ, ასევე, ყველა სტუდენტის სამართლიანი და მიუკერძოებელი შეფასება;

1.9. წარმოადგინოს მეცნიერული თეორიები, შეხედულებები და კონცეფციები შესაბამის კრიტიკულ შეხედულებებთან ერთად, მათ მიმართ საკუთარი პრეფერენციების დემონსტრირების გარეშე;

1.10. დაიცვას სტუდენტის აკადემიური თავისუფლების პრინციპები;

1.11. შეინარჩუნოს სტუდენტებთან და კოლეგებთან ურთიერთობის დროს აკადემიური ფარგლები;

1.12. შეარჩიოს კომუნიკაციის ენა, ტონი, სტილი და ფორმატი სტუდენტებთან და კოლეგებთან ურთიერთობისას, რათა უზრუნველყოს ინფორმაციის გაცვლა და ღია დიალოგი; პატივისცემით მოეპყროს თანამოსაუბრეს და თავაზიანად გამოხატოს საკუთარი მოსაზრება;

1.13. არ დააკნინოს სხვა პროგრამის ან სასწავლო კურსის ან კოლეგის მნიშვნელობა სტუდენტების თანდასწრებით;

1.14. არ დაუშვას პირადი ანტიპატიის, კონკურენციის ან სხვა მოტივით პირის/ მისი ნაშრომის არაკორექტული, ტენდენციური კრიტიკა;

1.15. არ დაუშვას მისი რომელიმე კოლეგის კრიტიკა სტუდენტების მხრიდან. ასეთ შემთხვევაში, მან უნდა მოუწოდოს სტუდენტებს მიმართონ უშუალოდ კრიტიკის ობიექტს ან სეუ-ს მმართველ რგოლს;

1.16. არ წარმოაჩინოს არასწორად ან მცდარად კოლეგის შეხედულება საკუთარი პოზიციის გამყარების მიზნით;

1.17. არ დაუშვას სტუდენტის/კოლეგის შესაძლებლობათა გამოყენება პირადი გამორჩენის მიზნით, ან პროფესიული უთანხმოების ინსტრუმენტად;

1.18. არ დაუშვას პროფესიული ვალდებულებების უგულებელყოფა, რაც გამოიხატება დაუდევრობით ან/და გულგრილობით სტუდენტების ან კოლეგების მიმართ.

მუხლი 5. სტუდენტის ეთიკის ნორმები

1. სეუ-ს სტუდენტის ეთიკის ნორმების დარღვევად ჩაითვლება:

1.1. ეთიკური ქცევის საერთო წესების დარღვევა;

1.2. ლექციებისა და გამოცდების მსვლელობისას მობილური ტელეფონის, სხვა სახის ტექნიკური საშუალებების ან/და ნებისმიერი სახის დამხმარე მასალის (წიგნები, კონსპექტები, კალკულატორი და სხვა) გამოყენება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს ნებართვა ამა თუ იმ დამხმარე მასალის გამოყენების შესახებ;

1.3. კარნახი-გადაწერა ან/და მისი მცდელობა;

1.4. შეფასების მიღების ან/და შეცვლის მცდელობა მუქარით, მოტყუებით, თაღლითობით ან/და სხვაგვარი არამართლზომიერი ქმედებით;

1.5. საგამოცდო პროცესის ჩაშლა ან ჩაშლის მცდელობა;

1.6. გამოცდის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვება, გამოყენება და/ან გავრცელება;

1.7. პირადი მონაცემების გაყალბების გზით, სხვა სტუდენტის ნაცვლად გამოცდის ჩაბარება/მცდელობა, ან სხვა პირისათვის თხოვნა, რომ მის ნაცვლად ჩააბაროს გამოცდა;

1.8. სხვა სტუდენტის ნამუშევარის მოპარვა, შეცვლა ან/და განადგურება;

1.9. სხვა სტუდენტისათვის ხელის შეშლა სწავლისა და კვლევის პროცესში საჭირო რესურსების დამალვით, მოპარვით ან განადგურებით;

1.10. პლაგიატი (სხვისი ნაშრომის ან იდეების მითვისება, წყაროს მითითების გარეშე ან არასწორი წყაროს მითითება;

1.11. ფალსიფიკაცია ან/და სხვა პირის ნამუშევრის, როგორც საკუთარის წაარმოჩენა;

1.12. სხვა სტუდენტისათვის აკადემიურ სიყალბეში ხელშეწყობა.

მუხლი 6. პლაგიატი

1. პლაგიატი არის ყველა ის ტექსტი/ფრაზა/იდეა/კვლევის მონაცემი, რომელსაც პირი იყენებს საკუთარ ნაშრომში ავტორის/წყაროს მითითების გარეშე.
2. წყაროდ ითვლება ის წიგნი, სტატია, სახელმძღვანელო, ბლოგი, ასევე ისეთი მასალა, რომელიც არ არის გამოქვეყნებული, თუმცა ეკუთვნის კონკრეტულ პირს.
3. უნივერსიტეტის აკადემიური საქმიანობის სტანდარტის მიხედვით, პლაგიატი აკრძალულია და იგი ეწინააღმდეგება საუნივერსიტეტო საზოგადოების ეთიკის კოდექსს.
4. პლაგიატად ჩაითვლება ნაშრომი, რომელშიც:

ა. ციტირებულია სხვა ავტორის აზრი (გადაწერილია ფრაზები, აბზაცი ან აბზაცის ნაწილი) და არ არის გამოყენებული ე.წ. ბრჭყალები ავტორის/წყაროს მითითებით, ან ტექსტი არ გამოიყოფა სხვა საშუალებით (მუქი შრიფტი, დახრილი შრიფტი...);

ბ. გაკეთებულია პერიფრაზი (წყაროდან ამონარიდი ტექსტის შინაარსის საკუთარი სიტყვებით გადმოცემა), რომელშიც ორიგინალური ტექსტის ფრაზები ოდნავ არის შეცვლილი და წარმოდგენილია როგორც საკუთარი.

გ. გამოყენებულია კვლევის შედეგები, მათ შორის საკუთარი (სტატია, პროექტი, წიგნი), რომელსაც არ აქვს მითითებული წყარო.

დ. კოპირებულია და გამოყენებულია სხვადასხვა ვებ-გვერდის/პორტალის მასალა (კვლევის შედეგები, ცხრილები, გრაფიკები და ა.შ.) წყაროს მითითების გარეშე.

5. პლაგიატიზმს აქვს უარყოფითი შედეგები. პლაგიატის შემთხვევაში სტუდენტი ვერ მიიღებს დამაკმაყოფილებელ შეფასებას ან გაუუქმდება მიღებული დამაკმაყოფილებელი შეფასება, ხოლო სერიოზული და/ან მრავალჯერადი დარღვევის დადგენის შემთხვევაში შესაძლებელია განისაზღვროს უფრო მკაცრი სანქცია.
6. პლაგიატის თავიდან ასაცილებლად:
   6.1. ნაშრომში უნდა მიეთითოს გამოყენებული ინფორმაციის ზუსტი წყარო;
   6.2. გამოყენებული ციტატები უნდა ჩაისვას ბრჭყალებში, წყაროს ზუსტი მითითებით;
   6.3. ინტერნეტში განთავსებული მასალები გამოიყენება წყაროს მითითებით;
   6.4. ავტორის იდეების პარაფრაზირებისას პარაფრაზი ორიგინალისგან უნდა განსხვავდებოდეს ენობრივად, თუმცა უნდა იქნას დაცული ავტორის მთავარი აზრი;
   6.5. საკუთარი, უკვე გამოქვეყნებული მასალის ციტირებისას აუცილებელია შესაბამისი მითითების გაკეთება.
7. საყოველთაოდ ცნობილი „ზოგადი ცოდნის“ გამოყენება-გავრცელება პლაგიატი არ არის და წყაროს მითითებას არ საჭიროებს.
8. სეუ-ს აკადემიური/მოწვეული პერსონალისა და სტუდენტის ვალდებულებაა თავის საქმიანობაში არ დაუშვას პლაგიატის არც ერთი ფორმის გამოყენება და/ან პლაგიატის წახალისება, როგორც წინასწარი განზრახვით, ისე უნებლიედ, პირდაპირი თუ ირიბი გზით.
9. პლაგიატის პრევენციისა და აღმოფხვრის მიზნით სეუ-ში დანერგილია პლაგიატის ამოცნობის სპეციალური პროგრამა (Turnitin), რომელიც ტექსტებს შორის მსგავსების დადგენას და პლაგიატის აღმოჩენას ემსახურება.
10. სეუ-ს სტუდენტური ნაშრომებისათვის განსაზღვრული აქვს ორიგინალური ტექსტის დასაშვები მოცულობის ზღვარი.

მუხლი 7. ორიგინალი ტექსტის დასაშვები მოცულობის ზღვარი

1. აღნიშნული მუხლი ადგენს სტუდენტურ თუ სამეცნიერო კვლევით ნაშრომში ორიგინალი ტექსტის (ციტატების, პერეფრაზის და სხვა წყაროებიდან მოყვანილი ტექსტის გამოყენების გარეშე) მინიმალური მოცულობის ზღვარს.
2. სტუდენტური ნაშრომებისთვის ორიგინალი ტექსტის მოცულობის მინიმალური ზღვარია:
   ა) საბაკალავრო ნაშრომისთვის, პრეზენტაციისთვის, პროექტისთვის - 60%;
   ბ) სტუდენტური სტატიისთვის, ესესთვის, საკონფერენციო ნაშრომისთვის - 75 %;
   გ) სამაგისტრო ნაშრომისთვის, პროექტისთვის - 85%;
3. სტუდენტური ნაშრომი, რომელიც არ შეესაბამება წინამდებარე მუხლის მოთხოვნებს, არ შეფასდება.
4. სამეცნიერო ნაშრომებისთვის ორიგინალი ტექსტის მოცულობის მინიმალური ზღვარია:
   ა) სამეცნიერო სტატიისთვის - 90 %;
   ბ) სამეცნიერო გრანტისთვის - 95 %;
5. სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომი, რომელიც არ შეესაბამება წინამდებარე მუხლის მოთხოვნებს, არ დაიშვება შესაბამის კვლევით პროექტში.
6. აღნიშნული ზღვარის დაძლევა არ გამორიცხავს უნივერსიტეტის მიერ დასაშვები მოცულობის ორიგინალი ტექსტის მქონე ნამუშევრებიდან იმ ნამუშევრისთვის პრიორიტეტის მინიჭებას, რომელიც მოცულობით მეტ ორიგინალ ტექსტს შეიცავს.

მუხლი 8. დისციპლინური გადაცდომა და დისციპლინური პასუხისმგებლობა

1. დისციპლინური გადაცდომის ჩადენისათვის, სეუ-ს პერსონალს და სტუდენტს შესაძლებელია დაეკისროს შესატყვისი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა.
2. სეუ-ს სტუდენტის და პერსონალის დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება:
   2.1. ამ კოდექსით განსაზღვრული ეთიკური ქცევის საერთო წესებისა და ეთიკის ნორმების დარღვევა;
   2.2. სეუ-ს შინაგანაწესითა და სხვა მარეგულირებელი აქტებით განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევა;
   2.3. მოქმედი კანონმდებლობის დარღვევა.
3. ქმედებები, რომლებიც შესაძლოა გახდეს პერსონალის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი, აგრეთვე, შესატყვისი დისციპლინური ზომები და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების პროცედურა, გაწერილია შრომის შინაგანაწესში და სეუ-ს სხვა სხვა მარეგულირებელ აქტებში.
4. ქმედებები, რომლებიც შესაძლოა გახდეს სტუდენტის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველი, აგრეთვე, შესატყვისი დისციპლინური ზომები და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების პროცედურა, გაწერილია წინამდებარე კოდექსში და სეუ-ს სხვა მარეგულირებელ აქტებში.

მუხლი 9. დისციპლინური წარმოების დაწყება

1. სტუდენტის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის ფაქტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დადგინდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული

დისციპლინური წარმოების გზით.

2. დისციპლინური წარმოების მიზანია დისციპლინური გადაცდომის ფაქტის სწრაფად და სრულად გამოვლენა და დისციპლინური გადაცდომის თანაზომიერი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის განსაზღვრა.

3. დისციპლინური წარმოების დაწყება შესაძლებელია სეუ-ს პერსონალის ან სტუდენტის განცხადებების/საჩივრის/შეტყობინების საფუძველზე, რომელსაც მიაჩნია, რომ სტუდენტის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები ან/და ეთიკის სხვა ნორმები, ასევე, რექტორის გადაწყვეტილებით, მისთვის ცნობილი ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც შეიცავს სტუდენტის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ნიშნებს.

4. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს საჩივრის ავტორის სახელი, გვარი და საკონტაქტო ინფორმაცია, დისციპლინური დამრღვევის სახელი და გვარი, დარღვევის სახე და ჩადენის დრო, დამადასტურებელი მტკიცებულებები და მოთხოვნა.

5. რექტორი ან სეუ-ს მარეგულირებელი აქტებით განსაზღვრული სტრუქტურული ერთეული/პერსონალი, შეისწავლის საჩივარს და გადაწყვეტს მისი დასაშვებობის საკითხს. საჩივარი არ იქნება მიღებული წარმოებაში, თუკი საჩივარი შემოტანილია არაუფლებამოსილი პირის მიერ ან შემოტანილია პირის მიმართ, რომელიც არ არის სეუ-ს აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი, ან საჩივარი არ შეიცავს დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს ან დაუშვებელია სხვა მიზეზის გამო.

6. სეუ ვალდებულია, განცხადების/საჩივრის/შეტყობინების მიღებიდან 30 დღის განმავლობაში გამოიკვლიოს - არსებობს თუ არა დისციპლინური წარმოების საკმარისი საფუძველი და არსებობის შემთხვევაში, მიიღოს გადაწყვეტილება დისციპლინური წარმოების დაწყების, დისციპლინური ზომის დაკისრების, ან დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე.

7. სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყება არ უნდა ზღუდავდეს სტუდენტის უფლებას მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, გარდა ისეთი შემთხვევებისა, თუ დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია სტუდენტის ერთი ან რამოდენიმე ქმედება, რომელიც საფრთხეს უქმნის სხვისი უფლებების, ჯანმრთელობის, სეუ-ს საკუთრებისა და უსაფრთხოების დაცვას.

8. სტუდენტის პლაგიატის ჩადენის ფაქტი განიხილება დისციპლინური წარმოების გარეშე, სეუ-ს მარეგულირებელი აქტებით განსაზღვრული წესით.

მუხლი 10. დისციპლინური წარმოების პრინციპები

1. დისციპლინური წარმოება ემყარება კანონიერების პრინციპს. სტუდენტს არ შეიძლება დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა ამ ეთიკის კოდექსის დადგენილი საფუძვლისა და წესის დაცვის გარეშე.

2. სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოება უნდა იყოს დისციპლინური გადაცდომის პროპორციული და შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მოქმედი კანონმდებლობის და სეუ-ს მარეგულირებელი აქტების შესაბამისად, სამართლიანი პროცედურის გზით.

3. დაუშვებელია სტუდენტისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდება თუ დისციპლინური გადაცდომის ჩადენიდან გასულია ერთ წელზე მეტი.

4. დისციპლინური წარმოება კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვით უნდა მიმდინარეობდეს.
5. დისციპლინურ წარმოებაში არ შეიძლება მონაწილეობდეს პირი, თუ მას აქვს პირადი ინტერესი ან/და თუ არსებობს სხვა გარემოება, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს საქმის გადაწყვეტაზე.
6. სტუდენტს არ შეიძლება დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობის ერთი და იგივე ზომა განმეორებით ჩადენილი ერთი და იმავე დისციპლინური გადაცდომისათვის.
7. დაუშვებელია ერთი დისციპლინური გადაცდომის ჩადენისთვის ორი ან მეტი დისციპლინური ზომის დაკისრება.
8. სტუდენტი არ ჩაითვლება დისციპლინური გადაცდომის ჩამდენად მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდების შესახებ გადაწყვეტილების (რექტორის ბრძანების) ძალაში შესვლამდე.

მუხლი 11. ეთიკის კომისია და მისი უფლებამოსილებანი

1. დისციპლინური წარმოების უზრუნველსაყოფად, სეუ-ს რექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება ეთიკის კომისია (შემდგომში - კომისია).
2. კომისიის შემადგენლობას სეუ-ს რექტორი განსაზღვრავს კონკრეტული შემთხვევის დადგომისას და ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვით.
3. დარღვევის სპეციფიკის გათვალისწინებით, კომისიის შემადგენლობაში შეიძლება შედიოდნენ:
    3.1. ერთ-ერთი ვიცე-რექტორი;
    3.2. ფაკულტეტის დეკანი;
    3.3. აკადემიური პერსონალის წარმომადგენელ(ებ)ი;
    3.4. ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენელ(ებ)ი;
    3.5. სტუდენტ(ებ)ი;
    3.6. საჭიროებისამებრ, სხვა მოწვეული პირები.
4. იმ შემთხვევაში, თუ ეთიკის კომისიის რომელიმე წევრი ხედავს პოტენციურ ინტერესთა კონფლიქტის საფრთხეს, ან არსებობს მისი მხრიდან მიკერძოების საფრთხე, ვალდებულია განაცხადოს რექტორთან და მოითხოვოს მისი საქმის წარმობიდან აცილება.
5. დისციპლინური გადაცდომის საკითხის განსახილველად, კომისია იკრიბება ერთჯერადად. განხილვა მიმდინარეობს კომისიის სხდომაზე ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე.
6. კომისიის სხდომის ჩატარების თარიღი, დრო და ადგილი უნდა ეცნობოს დისციპლინური წარმოებაში მონაწილე ყველა მხარეს/პირს, სხდომის ჩატარებამდე არანაკლებ 3 დღით ადრე და ასევე, მათ უნდა გადაეცემათ საქმის მასალები, რათა წარადგინონ სხდომაზე საკუთარი ახსნა-განმარტებები.
7. კომისიის სხდომის თავმჯდომარეა ვიცე-რექტორი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში, სხდომაზე არჩეული კომისიის წევრი.
8. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუკი მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი მაინც, სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით. თუ კენჭისყრისას ხმები თანაბრად გაიყოფა, გადამწყვეტია

სხდომის თავმჯდომარის ხმა.

9. კომისიის სხდომაზე სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა წარმოადგინოს საკუთარი ახსნა-განმარტება პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით.

10. კომისიის სხდომაზე დგება ოქმი. ოქმს ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და სხდომაზე დამსწრე ყველა კომისიის წევრი. განსხვავებული აზრი ფორმდება წერილობით და თან ერთვის ოქმს.

11. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, კომისია ადგენს სტუდენტის დისციპლინური გადაცდომის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ფაქტს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას დისციპლინური ზომის დაკისრებასთან დაკავშირებით.

მუხლი 12. განცხადება/საჩივრის განხილვის წესი

1. ეთიკის კომისია განცხადება/საჩივარს განიხილავს სამართლიანად და მიუკერძოებლად, კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპების დაცვით.

2. განცხადება/საჩივრის ყოველმხრივ და ობიექტურად განხილვის მიზნით, კომისია შეისწავლის მის ხელთ არსებულ დოკუმენტაციას, გამოითხოვოს დამატებით მტკიცებულებებს, დაამუშავებს კანონიერად მოპოვებულ ვიდეო-მასალას და გამოკითხავს საქმესთან შემხებლობაში ყველა პირს, რათა შეაფასოს დარღვევის მასშტაბი.

3. კომისიის სხდომები დახურულია, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი არსებობს სტუდენტის მოთხოვნა სხდომის საჯაროდ ჩატარების შესახებ.

4. კომისიის სხდომაზე დაცულია როგორც მომჩივანი, ასევე მოპასუხე მხარის ინტერესები.

5. დისციპლინური წარმოების მსვლელობაში მოპოვებული ინფორმაცია და კომისიის სხდომაზე განხილული საკითხები კონფიდენციალურია.

6. დისციპლინური წარმოების განხორციელებისას სტუდენტს უფლება აქვს:

   6.1. მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება, მის მიმართ დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ, წერილობითი ფორმით;

   6.2. დაესწროს დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვას, პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით და ისარგებლოს დაცვის უფლებით;

   6.3. მიაწოდოს კომისიას მის ხელთ არსებული ინფორმაცია;

   6.4. მონაწილეობა მიიღოს კომისიის მიერ საკითხის გამოკვლევაში, გარდა გამონაკლისისა, თუ იკვეთება წარმოების პროცესში მისი მხრიდან მტკიცებულებების მოპოვების ხელშეშლა ან მისი ზეგავლენისგან დაცვის საჭიროება;

   6.5. მოითხოვოს მის მიმართ აღძრული დისციპლინური წარმოების საკითხი განხილულ იქნეს საჯარო სხდომაზე.

7. დისციპლინური წარმოების საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი აწევს ბრალდების მხარეს. ყველა სადაო ფაქტი და მტკიცებულება განიმარტება სტუდენტის სასარგებლოდ.

8. დისციპლინური წარმოების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და ემყარებოდეს შესაბამის ფაქტობრივ გარემოებებსა და მტკიცებულებებს.

9. კომისია, შესაბამისი განცხადება/საჩივრის განხილვის შედეგად იღებს შემდეგი სახის ერთ-ერთ გადაწყვეტილებას:

   9.1. დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ სტუდენტს არ დაუმტკიცდა

დისციპლინური დარღვევის ჩადენა ან სახდელის დაკისრების ვადა ამოიწურა, ან სტუდენტს სტატუსი შეუწყდა საქმის განხილვამდე/ გადაწყვეტილების გამოტანამდე;

9.2. სტუდენტისათვის დისციპლინური ზომის დაკისრების შესახებ, თუ მის მიერ ჩადენილი დისციპლინური დარღვევა დადასტურდა.

10. კომისია ვალდებულია, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინოს ჩადენილი არაეთიკური ქმედებისა და გადაცდომის სპეციფიკა, ხარისხი, სიმძიმე, შესაძლო ან მიყენებული ზიანი, შედეგები და სხვა გარემოებები.

11. დისციპლინური წარმოების პროცესი შესაძლებელია შეჩერდეს, თუ შესწავლის დროს მოპოვებული მასალა ცხადჰყოფს, რომ სტუდენტს შესაძლოა ჩადენილი ჰქონდეს სისხლის სამართლის დანაშაული. ასეთ შემთხვევაში, სეუ მიმართავს სათანადო კომპეტენციის მქონე ორგანოს.

12. სტუდენტს უფლება აქვს, სასამართლოში გაასაჩივროს მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება.

13. გადაწყვეტილება სტუდენტისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრების ან უარყოფის შესახებ მიღებულ უნდა იქნეს მომჩივანის განცხადების შეტანიდან არაუგვიანეს 30 დღის ვადაში.

მუხლი 13. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები

1. სეუ-ს სტუდენტს დისციპლინური გადაცდომის ჩადენისათვის შესაძლებელია შეეფარდოს დისციპლინური პასუხისმგებლობის რომელიმე შემდეგი ზომა:

1.1. გაფრთხილება;

1.2. საყვედური;

1.3. სასტიკი საყვედური;

1.4. ამოღებულია (ბრძანება N526 27/06/2022წ.);

1.5. სეუ-ს სტიპენდიით, შეთავაზებით მიღებული ლეპტოპის/სასწავლო ვაუჩერის და სეუ-ს მიერ დადგენილი ფინანსური შეღავათებით (“SEU გრანტი” - სახელმწიფო სასწავლო გრანტით ჩარიცხულისთვის, ოქროს/ვერცხლის მედალოსნებისთვის, დევნილის სტატუსის მქონე და საინგილოში მცხოვრები სტუდენტებისთვის და სხვ.) სარგებლობის უფლების შეზღუდვა ან შეწყვეტა. *(ბრძანება N526 27/06/2022წ.);*

1.6. მიყენებული ზიანის ანაზღაურება;

1.7. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.

2. არაეთიკური ქმედებები და გადაცდომები პირობითად იყოფა ორ კატეგორიად: მსუბუქი და მძიმე ხასიათის. დარღვევა, რომელიც სერიოზულ წინააღმდეგობაში მოდის სეუ-ს ღირებულებებთან და აკადემიური პატიოსნების სტანდარტებთან, ან ჩრდილს აყენებს მის საქმიანობას, კლასიფიცირდება როგორც მძიმე ხასიათის დარღვევა.

3. გაფრთხილება ან საყვედური, როგორც წესი, მცირე ხასიათის დარღვევის შემთხვევაში გამოიყენება, დამრღვევის ჩადენილი ქმედებისადმი დამოკიდებულების გათვალისწინებით.

4. სასტიკი საყვედური გამოიყენება დარღვევის სიმძიმიდან გამომდინარე და/ან განმეორებით ჩადენილი დისციპლინური გადაცდომისათვის, მით უფრო, თუ საქმის განხილვაზე არ იკვეთება დამრღვევი სტუდენტის ჩადენილი ქმედებისადმი და ქცევის

გაუმჯობესებისაკენ დამოკიდებულება.

5. გაფრთხილების ან საყვედურის შემდეგ, როგორც წესი, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად არ განიხილება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა, გარდა გამონაკლისი მძიმე დარღვევების შემთხვევებისა, როდესაც დარღვევა უხეში, განზრახი ხასიათისაა ან სახეზეა მრავალჯერადი (3 ან მეტი) რეციდივი და დარღვევას თან ახლავს ნეგატიური შედეგები სეუ-ს, მისი პერსონალის ან სხვა სტუდენტის ან მესამე პირებისათვის.

6. მიყენებული ზიანის ანაზღაურება გამოიყენება სტუდენტის მიმართ, თუ სტუდენტის ქმედებით, რომელიც დისციპლინური წარმოების საფუძველი გახდა, სეუ-ს მიადგა ფულადი ან მატერიალური ზიანი, სტუდენტი (მისი კანონიერი წარმომადგენელი) ვალდებულია, აანაზღაუროს ეს ზიანი. ზიანის ანაზღაურება არ ათავისუფლებს სტუდენტს დისციპლინური პასუხისმგებლობისაგან.

7. დისციპლინური პასუხისმგებლობის შეფარდებული ზომა ძალაში შედის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების გამოცემის დღიდან.

8. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ასლი, გამოცემიდან 3 დღეში ეგზავნება სტუდენტს პირად/სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე. გაგზავნის დღიდან ერთი თვის განმავლობაში გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

9. დისციპლინური პასუხისმგებლობის შეფარდებული ზომის მოქმედების ვადა არის ერთი წელი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ადგილი ჰქონდა სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას.

10. თუ სტუდენტს დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებიდან ერთი წლის განმავლობაში არ დაეკისრება ახალი დისციპლინური ზომა, იგი ჩაითვლება დისციპლინური პასუხისმგებლობის არმქონე პირად.

11. დისციპლინური პასუხისმგებლობის ვადამდე ადრე მოხსნის შესახებ (არსებობის შემთხვევაში) გადაწყვეტილებას იღებს რექტორი.

მუხლი 14. დასკვნითი დებულებანი

1. ეთიკის კოდექსის დამტკიცება, გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება სეუ-ს რექტორის ბრძანების საფუძველზე.

2. სეუ უფლებამოსილია შეიტანოს ცვლილებები წინამდებარე კოდექსში, რომელიც არ უნდა იწვევდეს პერსონალისა და სტუდენტის უფლებებისა და თავისუფლებების რაიმე სახით შეზღუდვას, ასევე არ უნდა იწვევდეს მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის შეცვლას.

3. სეუ ვალდებულია ცვლილების შეტანის შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ აცნობოს სტუდენტებსა და პერსონალს, ვებგვერდზე გამოქვეყნების, ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნის ან/და სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში განთავსების გზით.